N 3478

12/08/2022 3478-0-2-202208121521

მოქალაქე, ვიქტორ დათაშვილს
მის: ვარკეთილი, ნიკოლოზ ლანდიას 15/73

ბატონო ვიქტორ,

თქვენი, 2022 წლის 4 აგვისტოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესული #21243 განცხადების პასუხად, რომელიც ეხებოდა საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნას, გაცნობებთ, რომ საქართველოს დაცული ტერიტორიების გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ყოველწლიურად იმართება სხვადასხვა აქტივობები, 2022 წლის 6 თვის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტერიტორიული ადმინისტრაციების ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიება სამიზნე ჯგუფების მიხედვით:

- სკოლის მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისათვის მომზადდა და განახლდა მიზნობრივი პრეზენტაციები გარემოსდაცვითი თემატიკით;
- ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან;
- სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ჩატარდა ლექცია-სემინარები;
- დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკოტურები ;
- მოსწავლეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით განხორციელდა გამწვანების აქციები;
- დასუფთავების აქციები;
- საანგარიშო პერიოდში აღინიშნა 11 ე.წ. „მწვანე კალენდრის“ დღე, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა სხვადასხვა სახის ეკოსაგანმანათლებლო აქტივობა.
- დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა სპეციალური კითხვარის საშუალებით, სადაც დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხთან მიმართებით გამოიკითხა სულ 2100 რესპოდენტი.
- 2022 წლის 15 ივლისს, ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, მტირალას, ოკაცეს და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დაიწყო სტუდენტური ბანაკები სპეციალურად შემუშავებული პროგრამების შესაბამისად, რომელიც მიმდინარეობს 3 ეტაპად და დასრულდება 15 აგვისტოს.
- საანგარიშო პერიოდში ჯამში ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო სულ 57600-მა მონაწილემ, რომელთა სტატისტიკა სამიზნე ჯგუფების მიხედვით ასე

გამოიყურება: 37488 მოსწავლე, 408 სტუდენტი, 1886 პედაგოგი/ლექტორი, 17225 ადგილობრივი მოსახლე და 593 სხვა დაინტერესებული პირი.



რაც შეეხება დაცულ ტერიტორიებზე დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ, რომ საქართველოში არსებულ 21 ტერიტორიულ ერთეულში 596 დასაქმებული ადამიანიდან 98 არის ქალი.

პატივისცემით,

დავით იოსებაშვილი

თავმჯდომარე